თვის მიმოხილვა

იანვარი

საქართველოს ეროვნული ბანკი

2021

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

სარჩევი

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება 4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა 8
3. საბანკო სექტორი 10
4. სავალუტო ბაზარი 15
5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი 19
6. საგარეო სექტორის მიმოხილვა 21

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2021 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ 2.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო დეკემბერთან შედარებით ფასები 1.1 პროცენტით გაიზარდა.

იანვარში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის მატებაზე, სეზონურად ზოგიერთი პროდუქტის გაძვირების გარდა, მსოფლიო ბაზარზე ნავთობისა და მზესუმზირის ზეთის გაძვირების გამო ადგილობრივ ბაზარზე შესაბამისი პროდუქტების გაძვირებამ იმოქმედა. ბენზინისა და მზესუმზირის ზეთის წვლილმა თვის ინფლაციაში სათითაოდ 0.1 პროცენტული პუნქტი (პპ) შეადგინა.

წლიურად სურსათი 6.3 პროცენტით იყო გაძვირებული. იანვრის 2.8 პროცენტიანი ინფლაციიდან სურსათზე 1.8 პპ მოდიოდა, საიდანაც მხოლოდ ყველზე და ზეთზე - 0.6 პპ. კვლავ მაღალი იყო სიგარეტის წვლილი (0.3პპ). ავტომობილის სათანადარიგო ნაწილებზე, სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტებსა და ქორწინების ოქროს ბეჭედზე ფასების ზრდამ ინფლაციის მატებაზე ჯამში 0.5 პპ-ით იმოქმედა.

ინფლაციის შემცირებაზე მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირება იანვარში კვლავ მნიშვნელოვნად, 1.6 პპ-ით, მოქმედებდა, ამის გარდა, წლიური ინფლაციის შემცირებაზე ყველაზე დიდი გავლენა ბენზინის, დიზელის და გაზის საწვავის წლიურად გაიაფებას ჰქონდა, ჯამში -0.7 პპ-ით.

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 5.7 პროცენტამდე გაიზარდა. მთლიან ინფლაციასა და საბაზო ინფლაციას შორის მნიშვნელოვანი სხვაობა მეტწილად ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გადასახადის ზემოთხსენებულ სუბსიდირებას უკავშირდება. ასევე სახეზეა წინა პერიოდებში გაცვლითი კურსის გაუფასურების ეფექტი.

მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია



წყარო: საქსტატი

წლიური ფასების ცვლილება სამომხმარებლო კალათის ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქსტატი

იანვარში წლიურმა ინფლაციამ იმპორტირებულ საქონელზე 0.9 პროცენტი, ხოლო ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე 3.1 პროცენტი შეადგინა. შერეული საქონელი 4.3 პროცენტით გაძვირდა. იმპორტირებული საქონლის ინფლაციის შედარებით დაბალი მაჩვენებელი საწვავის ფასის წლიურად შემცირებას უკავშირდება.

იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია



წყარო: საქსტატი

2020 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი შესაბამისად, 1.7, 0.8, 0.4 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 0.1 პროცენტით მოიმატა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი შესაბამისად, 2.5, 8.2, 8.9 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 1.4 პროცენტით მოიმატა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და წვლილი სფი-ში (პროცენტული პუნქტი).

	2020 წლის დეკემბრის წონები	იან21/დეკ20		იან21/იან20	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	1.1%	1.1%	2.8%	2.8%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	2.0%	0.6%	6.4%	2.0%
სურსათი	28.9%	2.2%	0.6%	6.3%	1.8%
პური და პურპროდუქტები	5.6%	0.5%	0.0%	7.5%	0.4%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	-0.4%	0.0%	0.9%	0.1%
თევზეული	0.5%	1.1%	0.0%	10.4%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	4.0%	0.3%	9.1%	0.5%
ზეთი და ცხიმი	1.9%	4.3%	0.1%	27.3%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.6%	4.4%	0.1%	-3.2%	-0.1%
ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	6.1%	0.2%	0.9%	0.0%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	0.9%	0.0%	8.9%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.5%	0.0%	5.5%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	-0.1%	0.0%	7.5%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	0.2%	0.0%	6.9%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	-0.1%	0.0%	2.6%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	1.9%	0.2%	-20.5%	-2.4%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	1.6%	0.1%	10.8%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	0.6%	0.0%	9.7%	0.7%
ტრანსპორტი	13.0%	1.4%	0.2%	-0.9%	-0.1%
კავშირგაბმულობა	3.6%	-0.1%	0.0%	0.1%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	-0.4%	0.0%	1.4%	0.1%
განათლება	4.6%	0.2%	0.0%	0.8%	0.0%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	-0.6%	0.0%	2.0%	0.1%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	0.9%	0.0%	8.9%	0.4%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	58.1%	-1.4%	-0.8%	2.2%	1.3%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.3%	1.1%	0.1%	5.7%	0.4%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.5%	-0.8%	0.0%	8.8%	0.5%
მომსახურება	30.1%	-0.8%	-0.2%	0.9%	0.3%

წყარო: საქსტატი

2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები

2021 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 300.1 მლნ ლარით (5.8 პროცენტით) შემცირდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 4.9 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან შედარებით, მონეტარული ბაზა 91.0 მლნ ლარით (1.8 პროცენტით) გაიზარდა. პერიოდის ბოლოსათვის, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი 15.2 პროცენტს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციებით გაყიდა 80.0 მლნ აშშ დოლარი. შიდასამთავრობო კონვერტაციებით, საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა, იანვარში 81.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 1.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

იანვარში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 82.4 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1,368.5 მლნ ლარს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში, განთავსდა 20 მლნ ლარის და დაიფარა იმავე ოდენობის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, კომერციული ბანკები სარგებლობდნენ რეფინანსირების სესხებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ამ ინსტრუმენტით გაცემული სესხების ნაშთი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 660.0 მლნ ლარით და 1,490.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელია და 400 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ერთდღიანმა სესხმა 180.0 მლნ ლარით მოიკლო. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთის ოდენობა შემცირდა 8.4 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 848.9 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,303.9 მლნ ლარს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, თვის განმავლობაში სარეზერვო ფულის მოცულობა 300.1 მლნ ლარით შემცირდა. მათ შორის, ნაღდი ფული მიმოქცევაში - 243.4 მლნ ლარით, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები - 111.9 მლნ ლარით შემცირდა. ამასთან. კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ოდენობა 55.3 მლნ ლარით გაიზარდა.

სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	დეკ-20	იან-21
სარეზერვო ფული	5 185 687	4 885 637
ფული მიმოქცევაში	4 661 427	4 417 990
ბანკების დეპოზიტები	524 260	467 647
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	445 560	333 647
ერთდღიანი დეპოზიტები	78 700	134 000

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	დეკ-20	იან-21
სარეზერვო ფული	4 971 243	5 062 263
ფული მიმოქცევაში	4 445 867	4 473 858
ბანკების დეპოზიტები	525 376	588 405
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	473 136	490 150
ერთდღიანი დეპოზიტები	52 240	98 255

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფართო ფული

2021 წლის იანვარში, ფართო ფულის, M3-ის აგრეგატი 369.9 მლნ ლარით შემცირდა და თვის ბოლოსათვის 30.1 მლრდ ლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპი კი 25.7 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტებზე 98.2 მლნ ლარით ზრდა დაფიქსირდა და იანვრის ბოლოსთვის, 16.9 მლრდ ლარს გაუტოლდა. ამავე პერიოდში, 377.9 მლნ ლარით შემცირდა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობა და მისმა მოცულობამ - 9.5 მლრდ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, 3.4 პროცენტით (468.2 მლნ ლარით) შემცირდა.

ფულადი აგრეგატების დინამიკა (ათასი ლარი)

	დეკ-20	იან-21
ფართო ფული /M3/	30 451 234	30 081 265
ფულადი მასა /M2/	13 659 858	13 191 646
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	3 737 551	3 647 322
ლარები მიმოქცევაში	4 661 427	4 417 990
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	9 922 307	9 544 324
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	16 791 376	16 889 618

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

3. საბანკო სექტორი

2021 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 253.0 მლნ ლარით (0.7 პროცენტით) გაიზარდა და 34.9 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2020 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 31.4 პროცენტით არის გაზრდილი. სადეპოზიტო ვალდებულებების ზრდაზე ძირითადი გავლენა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მატებამ და კურსის გაუფასურების შედეგად, უცხოური ვალუტის დეპოზიტების ლარით გამოსახული მაჩვენებლის ზრდამ განაპირობა.

სადეპოზიტო ვალდებულებები **მილიარდი ლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 75.1 მლნ ლარით (0.6 პროცენტით) გაიზარდა და 13.4 მლრდ ლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები ზრდის მიმართულებით მოქმედებდა (გაიზარდა 431.2 მლნ ლარით). ხოლო იურიდიული და ფიზიკური პირის დეპოზიტები შესაბამისად 227.1 და 129.0 მლნ ლარით შემცირდა.

კომერციულ ბანკებში, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 0.1 პროცენტიანი (2.7 მლნ აშშ დოლარი) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს, 6.51 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მატება ძირითადად, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების მოცულობის ზრდით არის განპირობებული.

სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2021 წლის იანვარში 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 61.6 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 53.7 და 77.0 პროცენტს შეადგენდა.

მიმდინარე წლის იანვარში, საშუალო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე გაიზარდა 0.2 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 6.5 პროცენტი. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე, ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა პერიოდთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8.2 პროცენტის ნიშნულზეა. იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე, საპროცენტო განაკვეთმა, წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით მოიკლო და 8.1 პროცენტს შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიური განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9.3 პროცენტის ნიშნულზეა. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი 1.9 პროცენტის დონეზეა. უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები უცვლელია და 2.6 პროცენტს უტოლდება. ასევე, უცვლელია განაკვეთები უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე და 1.9 პროცენტის ნიშნულზეა. 2020 წლის იანვარში, არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 1.2 პროცენტული პუნქტით 8.2 პროცენტამდე შემცირდა. კლება დაფიქსირდა უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთებზეც, 0.8 პროცენტული პუნქტით და 1.9 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით



დეპოზიტები უცხოური ვალუტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 116.9 მლნ ლარით შემცირდა და მთლიანი მოცულობა 37.6 მლრდ ლარს გაუტოლდა. საკრედიტო პორტფელზე კლების მიმართულებით გავლენა მოახდინა, როგორც ეროვნული, ასევე, უცხოური ვალუტით დაკრედიტების შემცირებამ. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 19.3 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე კი, სესხების წლიური ზრდა 9.2 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის 89.3 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 89.5 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 40.9 პროცენტს შეადგენდა.

სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 117.6 მლნ ლარით (0.7 პროცენტით) შემცირდა და 16.62 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად იურიდიული პირების მოკლევადიანი დაკრედიტების შემცირებით იყო განპირობებული.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა იანვარში 39.2 მლნ აშშ დოლარით (0.6 პროცენტით) შემცირდა, წინა თვესთან შედარებით და პერიოდის ბოლოს 6.53 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 61.5 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს, ხოლო 89.5 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით **მილიონი ლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით **მილიონი ლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით **მილიონი ლარი**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით **მილიონი ლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ვადაგადაცილებული სესხები 68.7 მლნ ლარით გაიზარდა და 602.2 მლნ ლარს გაუტოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.6 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული სესხების 38.7 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.2 პროცენტული პუნქტით, 55.5 პროცენტამდე გაიზარდა.

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, მიმდინარე წლის იანვარში, 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.2 პროცენტს შეადგენს. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი უცვლელია და 6.9 პროცენტს შეადგენს. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 1.3 პროცენტული პუნქტით, 15.7 პროცენტამდე გაიზარდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთებმა ფიზიკური პირებისთვის 1.7 პროცენტული პუნქტით, 18.7 პროცენტამდე მოიმატა, ხოლო იურიდიული პირების სესხებზე 0.5 პროცენტული პუნქტით, წლიურ 12.1 პროცენტამდე. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.0 პროცენტს გაუტოლდა. ფიზიკური პირების მიერ უცხოური ვალუტით აღებული სასესხო განაკვეთები კი, 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 6.7 პროცენტს შეადგენს. წინა წლის იანვართან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის სესხებზე 0.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნული ვალუტის სესხებზე - 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4. სავალუტო ბაზარი

1. გაცვლითი კურსი

იანვარში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ საშუალოდ 3.2864-დან 3.2973-მდე (0.3 პროცენტით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 3.9969-დან 4.0186-მდე (0.5 პროცენტით) გაუფასურდა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, თვის საშუალო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.3074, ხოლო მინიმალურმა 3.2766 შეადგინა. შესაბამისად, თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან მაქსიმალური გადახრა 0.3 პროცენტი, ხოლო მინიმალური -0.6 პროცენტი დაფიქსირდა.

საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დოლარი ევროს მიმართ საშუალოდ 0.2 პროცენტით და თურქული ლირის მიმართ 4.4 პროცენტით გაუფასურდა, ხოლო რუსული რუბლისა და სომხური დრამის მიმართ 0.5 პროცენტით გამყარდა. აზერბაიჯანული მანათის მიმართ დოლარი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა[1].

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

[1] წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა თვესთან შედარებით ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 0.9 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1.1 პროცენტით გაუფასურდა. წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 9.1 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 7.4 პროცენტით გაუფასურდა.

სავაჭრო პარტნიორთაგან იანვარში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 2.8 პროცენტზე მაღალი იყო თურქეთში 15.0 პროცენტი, ბელორუსში - 7.7 პროცენტი, უკრაინაში - 6.1 პროცენტი, რუსეთში - 5.2 პროცენტი, სომხეთში - 4.7 პროცენტი, აზერბაიჯანში - 3.3 პროცენტი, ხოლო დაბალი იყო აშშ-ში - 1.4 პროცენტი და ევროზონაში - 0.9 პროცენტი.

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2. სავალუტო ბაზრის ტენდენციები

ბანკთაშორისი სავალუტო ბაზარი

2021 წლის იანვარში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 138.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე - 21.4 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის იანვრის მონაცემზე კი 31.8 მლნ აშშ დოლარით მეტია. იმავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით - 14.3 პროცენტით, წლიურად კი 22.1 პროცენტით შემცირდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია გაიზარდა: ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 64 პროცენტი (დეკემბერი - 56 პროცენტი) ქვეყანაში მოქმედი 15 ბანკიდან და 4[2] მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით, ყველაზე აქტიურ 5 ორგანიზაციას ბაზრის 61 პროცენტი უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გაიზარდა და 10 პროცენტია (დეკემბერი - 8 პროცენტი), რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

[2] რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში

ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ვაჭრობა ბანკებსა და დანარჩენ ეკონომიკურ აგენტებს შორის

იანვარში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები შემცირდა. უცხოური ვალუტით ლარის ვაჭრობა თითქმის მთლიანად სპოტ[3] გარიგებებით ხდებოდა (98.4 პროცენტი) და 1,140.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მონაცემთან შედარებით - 531.8 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი 187.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (67.4 პროცენტი) მოდიოდა, დანარჩენი კი - შინამეურნეობებზე (23.6 პროცენტი) და არარეზიდენტ ბანკებზე (2.0 პროცენტი). საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციების წილი 7.0 პროცენტი იყო.

ამ პერიოდში ჩატარებულ ორ სავალუტო აუქციონზე ეროვნულმა ბანკმა ჯამურად 80.0 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

სებ–ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე (მლნ აშშ დოლარი) 2018 - 2020 წლებში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

[3] სპოტი გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნამ 583.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით - 265.5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 132.1 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. სეგმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სპოტ გარიგებებით იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვებმა 457.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შინამეურნეობების შესყიდვები 120.0 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო არარეზიდენტი ბანკების - 6.4 მლნ აშშ დოლარი.

სპოტ გარიგებით შეძენილი უცხოური ვალუტა



რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტის სპოტ გარიგებებით მიწოდებას, იანვარში 557.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით - 266.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 55.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. იურიდიულმა პირებმა გაყიდეს 311.4 მლნ აშშ დოლარი, შინამეურნეობებმა - 149.3 მლნ აშშ დოლარი, არარეზიდენტმა ბანკებმა კი - 16.5 მლნ აშშ დოლარი. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაყიდული აშშ დოლარი 80.0 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

სპოტ გარიგებით გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იანვარში სავალუტო ფორვარდ[4] გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობამ 18.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მონაცემთან შედარებით - 9.4 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.1 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ფორვარდ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (89.2 პროცენტი) მოდიოდა, ხოლო დანარჩენი არარეზიდენტ ბანკებზე (10.8 პროცენტი). ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა 18.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

[4] სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი

სადეპოზიტო სერტიფიკატები იანვარში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 65 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 19.6 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.01 პროცენტული პუნქტით 8.00 პროცენტამდე შემცირდა. იანვარში არსებული დაფარვების გათვალისწინებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობა არ შეცვლილა და 60 მლნ ლარს შეადგენს.

3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები იანვარში ჩატარდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ორი აუქციონი, რომელზეც 60 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. საანგარიშსწორებო ფასმა 63.3 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე ემისიას 2.3-ჯერ გადააჭარბა.

იანვარში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა ხუთწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 35 და 25 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 308 მლნ ლარით შემცირდა და 5,500 მლნ ლარია.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ხუთწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 8.11 პროცენტს შეადგენს, რაც წინა თვესთან შედარებით 0.09 პროცენტული პუნქტით დაბალია. ხოლო, ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 2020 წლის ოქტომბრის აუქციონთან შედარებით 0.23 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8.54 პროცენტია.

შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი იანვარში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის კლება შეინიშნებოდა, რაც ძირითადად უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის შემცირებით იყო განპირობებული. ბაზრის მთლიანმა ბრუნვამ 2.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მაჩვენებელზე 1.4 მლრდ ლარით, ხოლო წინა წლის იანვართან შედარებით 2.3 მლრდ ლარით ნაკლებია.

წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვა 0.46 მლრდ ლარით (51.2 პროცენტი), ხოლო უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი 0.92 მლრდ ლარით (35.1 პროცენტი) შემცირდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის იანვარში ლარის რესურსის ბრუნვამ 1.12 მლრდ ლარით (71.7 პროცენტი), ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში კი 1.16 მლრდ ლარით (40.7 პროცენტი) იკლო.

იანვარში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მთლიან ბრუნვაში ლარის რესურსის ხვედრითმა წილმა 20.6 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 5.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 14.7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.25 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 1.06 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.52 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში განაკვეთი თვის განმავლობაში 0.35 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 0.33 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 1.46 პროცენტია.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი ბაზრის რესურსის 15.2 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 83.0 პროცენტი კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

6. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2021 წლის იანვარში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16.8 პროცენტით შემცირდა და 313.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის რეგისტრირებულმა ექსპორტმა წლიურად 16.2 პროცენტით დაიკლო და 224.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 16.6 პროცენტით 538.1 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა **მილიონი აშშ დოლარი**



წყარო: საქსტატი

იმპორტი - 2021 წლის იანვარში საქონლის იმპორტი წლიურად 16.6 პროცენტით შემცირდა. რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდნენ რუსეთი და აზერბაიჯანი, რაც, ძირითადად, საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების წლიურად შემცირების ფონზე, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვების ღირებულების კლებას უკავშირდება. სომხეთიდან იმპორტის შემცირება უკავშირდება ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, უკრაინიდან - ნახშირბადიანი ფოლადის წნელებისა და კოპტონის, ხოლო თურქეთიდან - მსუბუქი ავტომობილებისა და პორტლანდცემენტის შემოტანის კლებას. დანარჩენი ქვეყნებიდან იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა აშშ-დან (მსუბუქი ავტომობილების გამო), გერმანიიდან (მსუბუქი ავტომობილების გამო), იაპონიიდან (მსუბუქი ავტომობილების გამო) და ირანიდან (მოსაპირკეთებელი ფილების შემოტანის კლების გავლენით). ამის საპირისპიროდ, ჩინეთიდან იმპორტის მატება ამოთხრა-ბურღვისათვის საჭირო მანქანების და ტანსაცმლის მზა ნაწარმის, ხოლო იტალიიდან - სატვირთო მანქანებისა და ლითონების დასამუშავებელი მანქანების შემოტანით არის გამოწვეული.

2021 წლის იანვარში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო: ჩინეთი, თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, აშშ, უკრაინა და გერმანია. ჯამურად, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 68 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო

2021 წლის იანვარში, იმპორტირებული საქონ-

საქონლის იმპორტის წლიური ცვლილება



იმპორტი ქვეყნების მიხედვით (იანვარი 2021)



წყარო: საქსტატი

ლის მნიშვნელოვან ნაწილს, 8.6 პროცენტს, ნავთობის აირები წარმოადგენდა, რომელიც წლიურად 18.5 პროცენტით შემცირდა და მთლიანი იმპორტის ცვლილებაში -1.6 პროცენტული პუნქტი წვლილი შეიტანა. იმპორტზე კლების მიმართულებით მნიშვნელოვნად იმოქმედა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მსუბუქი ავტომობილების, სატელეფონო აპარატების, ელექტროენერგიის, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტმა (ჯამურად -11.8 პპ). მოიკლო ასევე ელექტროენერგიის იმპორტმა. ამის საპირისპიროდ, არსებითად გაიზარდა ამოთხრა-გაბურღვისათვის საჭირო მანქანების, დაფასოებული სამკურნალო საშუალებებისა და სატვირთო ავტომობილების იმპორტი. იანვარში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2021 იანვარი		2020 დეკემბერი		2020 იანვარი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	46 330.6	8.6%	46 497.0	5.8%	56 870.6	8.8%
სხვა მანქანები და მექანიზმები გადაადგილების, ამოთხრის ან გაბურღვისათვის	40 788.7	7.6%	120.7	0.0%	421.5	0.1%
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	36 615.1	6.8%	47 524.8	5.9%	51 519.1	8.0%
მსუბუქი ავტომობილები	32 888.7	6.1%	60 559.4	7.5%	75 680.5	11.7%
დაფასოებული სამკურნალო საშუალებები	17 592.2	3.3%	46 425.3	5.8%	14 611.0	2.3%
სატვირთო ავტომობილები	17 571.3	3.3%	12 237.4	1.5%	6 171.0	1.0%
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	12 146.7	2.3%	39 308.4	4.9%	23 648.5	3.7%
სატელეფონო აპარატები	11 987.0	2.2%	15 295.6	1.9%	18 798.7	2.9%
ელექტროენერგია	10 384.9	1.9%	10 975.7	1.4%	10 868.1	1.7%
რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები, ახალი:	7 487.6	1.4%	6 351.0	0.8%	7 361.0	1.1%
სხვა	304 286.9	56.6%	517 980.7	64.5%	379 060.9	58.8%
სულ	**538 079.6**		**803 276.0**		**645 010.8**	

წყარო: საქსტატი

ექსპორტი - 2021 წლის იანვარში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 16.2 პროცენტით შემცირდა. რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების შემცირებაში მნიშვ-ნელოვანი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანში ექსპორტის კლებამ, რაც დიდწილად მსუბუქი ავტომობილების ექსპორტს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია რუსეთში - ფეროშენადნობებისა და ყურძნის ნატურალური ღვინოების, სომხეთში მსუბუქი ავტომობილების, ხოლო უკრაინაში მსუბუქი ავტომობილების, ქიმიური სასუქებისა და მინერალური წყლების ექსპორტის კლება. გარდა ამისა, შვეიცარიაში შემცირდა დაუმუშავებელი ოქროსა და ფხვნილის ექსპორტი. ამის საპირისპიროდ, ექსპორტი გაიზარდა აშშ-ში ფეროშენადნობების, ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, გერმანიაში სხვადასხვა თხილისა და კაკლის ექსპორტის მატების გავლენით. 2021 წლის იანვარში ძირითადი საექსპორტო ქვეყნები იყო: აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ჩინეთი, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა და აშშ. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის წილმა მთლიანი ექსპორტის 72 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილება



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (იანვარი 2021)



წყარო: საქსტატი

2021 წლის იანვარში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 16.2 პროცენტიან კლებაში ყველაზე დიდი წვლილი მსუბუქი ავტომობილების (-11.0 პროცენტული პუნქტი) ექსპორტმა შეიტანა. ექსპორტის მოცულობაზე უარყოფითად აისახა ასევე სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებზე, ასევე ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე, ეთილის სპირტსა და ქიმიურ სასუქებზე საგარეო მოთხოვნის კლება (ჯამურად -5.0 პროცენტული პუნქტი წვლილი მთლიანი ექსპორტში). ამის საპირისპიროდ, ფეროშენადნობების, მინერალური წყლების, კაკლის, ციტრუსებისა და მზა ტანსაცმლის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2021 იანვარი		2020 დეკემბერი		2020 იანვარი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	49 708.3	22.1%	52 264.5	16.0%	50 142.8	18.7%
მსუბუქი ავტომობილები	24 888.3	11.1%	39 275.2	12.1%	54 369.1	20.3%
ფეროშენადნობები	23 283.2	10.4%	15 750.7	4.8%	15 437.6	5.8%
მინერალური და მტკნარი წყლები	8 802.9	3.9%	11 292.0	3.5%	7 432.5	2.8%
ყურძნის ნატურალური ღვინოები	8 696.1	3.9%	24 068.1	7.4%	14 761.9	5.5%
კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი	7 246.4	3.2%	12 681.3	3.9%	2 730.4	1.0%
ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	6 958.1	3.1%	16 320.2	5.0%	8 075.4	3.0%
სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	5 971.3	2.7%	11 025.7	3.4%	11 736.9	4.4%
ციტრუსების ნაყოფი ახალი ან გამხმარი	3 881.6	1.7%	15 461.9	4.7%	3 331.8	1.2%
მაისურები, თბილი კვართები და სხვა ტრიკოტაჟის ნაწარმი, მანქანით ან ხელით ნაქსოვი	3 330.8	1.5%	4 437.9	1.4%	3 027.3	1.1%
სხვა	81 677.1	36.4%	123 126.5	37.8%	96 863.6	36.2%
სულ	**224 443.9**		**325 704.0**		**267 909.3**	

წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2021 წლის იანვარში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობა წინა წელთან შედარებით 19.2 პროცენტით გაიზარდა და 149.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 6.7 პროცენტით 17.2 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა.

საანგარიშო თვეში რეგიონის ქვეყნებიდან მაღალი ტემპით გაიზარდა აზერბაიჯანიდან (213.1 პროცენტით) და უკრაინიდან (80.6 პროცენტით) გადმორიცხული ფულადი სახსრები, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში 2.9 და 2.3 პროცენტული პუნქტებით აისახა. ფულადი გადმორიცხვები გაზრდილია ასევე თურქეთიდან, ხოლო რუსეთიდან კლება დაფიქსირდა. საანგარიშო თვეში მოიმატა ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხულმა თანხებმა (26.8 პროცენტით), რაც იტალიიდან (29.7 პროცენტით), საბერძნეთიდან (25.2 პროცენტით) და გერმანიიდან (57.2 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა აშშ-დან (33.2 პროცენტით) და კანადიდან (53.7 პროცენტით) მიღებულმა თანხებმა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.4 პროცენტი) და რუსეთი (15.5 პროცენტი) წარმოადგენდნენ. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიისა და საბერძნეთის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

წილი მთლიან ფულად გზავნილებში (იანვარი 2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნების წვლილი სწრაფი ფულადი გზავნილების ზრდაში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი - 2021 წლის იანვარში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 93.6 პროცენტით შემცირდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების 87.2 პროცენტი შეადგინა და წლიურად 91.9 პროცენტით დაიკლო. საანგარიშო თვეში ასევე შემცირდა ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა.

ვიზიტორები ტიპების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

2021 წლის იანვარში, გლობალურად, მათ შორის საქართველოში, კვლავ რჩება შეზღუდვები საერთაშორისო მოგზაურობასთან დაკავშირებით. ამის ფონზე, საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა ძალიან მცირეა. რეგიონის ქვეყნებიდან საერთაშორისო ვიზიტორების კლება რუსეთიდან (-97.8 პროცენტით), აზერბაიჯანიდან (-97.5 პროცენტით) და სომხეთიდან (-95.8 პროცენტით) გამოირჩეოდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორების რაოდენობა კვლავ ძალიან მცირეა, რაც მთლიან შემცირებაში 4.1 პროცენტული პუნქტით აისახა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები – 2021 წლის იანვარში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 191.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით ძირითადად იმოქმედა აზიის განვითარების ბანკიდან მიღებულმა პროგრამულმა სესხმა და კომერციულ ბანკებთან განხორციელებულმა ოპერაციებმა, ხოლო კლების მიმართულებით - სავალუტო ინტერვენციებმა და სავალუტო ხარჯებმა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები **მილიარდი აშშ დოლარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ-ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge